პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

21 ივლისი შაბათი 1973 ფასი — 4 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 170 (15687)

სუთნლელი — ვალამდე!

„კომუნისტის“ ვიმპელები კომბაინებზე

გამპარხვებული მექანიზატორი

გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის კომბაინერმა გიორგი ქართლელიშვილმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია თანასოფელელ თემურ ომარაშვილთან, სამჯერ ზედიზედ დაიმახსოვრა გაზეთ „კომუნისტის“ ვიმპელი, რომელიც სამუდამოდ მას დარჩა. მან ერთ დღეს მოსავალი აიღო 11 ჰექტარზე და გალეწა 830 ცენტნერი მარცვალი.

სურათზე: გ. ქართელიშვილი კომბაინთან.

თ. გოგიაშვილის ფოტო.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსი

სსრ კავშირში სახალხო განათლების მდგომარეობისა და ზოგადი საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

კომუნიზმის მშენებლობა, საწარმოო ძალების სწრაფი ზრდა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სსრ კავშირში მოითხოვენ მთელი საზოგადოებისა და თვითეული მოქალაქის კულტურული და განმანათლებლობრივი დონის განუწყვეტელ ამაღლებას, შეგნებული, დიდად განათლებული ადამიანების მომზადებას, რომლებსაც თავიანთი იდეური და მორალური თვისებებით, კულტურისა და პროფესიული ცოდნის დონით ექნებათ უნარი წარმატებით იშრომონ, შეასრულონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ დასახული სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყოველი ღონისძიებით განვითარების ამოცანები, აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამ პირობებში განუწყვეტლივ იზრდება სახალხო განათლების მთელი სისტემის როლი მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდასა და სწავლებაში, კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების მომზადებაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სსრ კავშირში მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. მეცნიერებისა და კულტურის მთელი სიმდიდრე შრომელთა ფართო მასების მონაპოვარი გახდა, საბჭოთა ხალხის, სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურება. სსრ კავშირში შექმნილი სახალხო განათლების დემოკრატიული სისტემა საქმით უზრუნველყოფს მოქალაქეთა რეალურ შესაძლებლობებს საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებისათვის, მათი შემოქმედებითი ნიჭისა და საზოგადოებრივი აქტიურობის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირში განხორციელებულია სავალდებულო რვაწლიანი სწავლება, იქმნება ყველა პირობა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებისათვის. მნიშვნელოვნად განვითარდა პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება. ქვეყანაში მოქმედებს საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ფართო ქსელი.

სსრ კავშირში ეკონომიკისა და კულტურის განუხრელი განვითარება გულისხმობს სახალხო განათლების სისტემის განუწყვეტელ სრულყოფას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა და სტუდენტთა მომზადების დონის ამაღლებას.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის სსრ კავშირის კანონის შესაბამისად სსრ კავშირის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ზოგადი საშუალო, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების, აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის შემდგომი განვითარება და სრულყოფა. განხორციელდა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების ღონისძიებანი. ხელფასი გაუდიდდათ მასწავლებლებს და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სხვა კატეგორიების პედაგოგიურ მუშაკებს. უმჯობესდება კანონმდებლობა სახალხო განათლების დარგში.

ამავე დროს სახალხო განათლების განვითარებაში ჯერ კიდევ არ იყენებენ ყველა შესაძლებლობას მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან და სხვა სასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთვისას, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სასწავლო პროგრამების სრულყოფას, სწავლების ახალი პროგრესული მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენებას. არის ნაკლოვანებები პედაგოგიური კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში. ცალკეული სამინისტროები და უწყებები, მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტები ნაკლებად ზრუნავენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობების აგებისა და შეკეთებისათვის, თანამედროვე მოწყობილობათა საკითხის განხილვის დროს, და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

3. სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელებსაც სასწავლებლები აქვთ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა განახორციელონ ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ამასთან საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ:

დღენიადაგ სრულყონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, ამავე დროს განამტკიცონ სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთიანობა, სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის თანამშრომლობა ბავშვთა და ახალგაზრდათა აღზრდაში, კომუნისტური შენებლობის პრაქტიკასთან მოზარდი თაობის სწავლებისა და შრომითი აღზრდის კავშირი;

გაუმჯობესონ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ქსელი, აგრეთვე კვალიფიციური მუშათა და სპეციალისტთა მომზადების დაგეგმვა; განახორციელონ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი, განსაკუთრებით სოფლად, გაამლიერონ კონტროლი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენებლობების მიმდინარეობისადმი, ხარისხისა და დროული ამოქმედებისადმი;

აამაღლონ მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა მუშაობის ხარისხი, უზრუნველყონ საჭირო პირობების შექმნა მათი პროფესიული ცოდნის მუდმივი სრულყოფისათვის;

უზრუნველყონ ახალგაზრდობის უფრო სრულად ჩაბმა საშუალო განათლებაში; გააუმჯობესონ სალამოს (ცვლითი) და დაუსწრებელი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობა;

გააუმჯობესონ სწავლების ხარისხი პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ამასთან უზრუნველყონ ყოველმხრივ განვითარებული, ტექნიკურად განათლებული კვალიფიციური ახალგაზრდა მუშების მომზადება; გაუმჯობესონ მეთოდიკური ხელმძღვანელობა უშუალოდ წარმოებაში ახალგაზრდა მუშების მომზადებისადმი;

უზრუნველყონ უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თეორიული და პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი და პერსპექტიული მიმართულებით კადრების მომზადების გაფართოება.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა გააუმჯობესონ საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სხვა ორგანიზაციების, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის საქმიანობის კოორდინაცია სახსწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისადმი დახმარებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები და ძალაში შევიდეს 1974 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის წესი და სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს ამ საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლებს.

მუხლი 4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1974 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის 1958 წლის 24 დეკემბრის კანონი „სსრ კავშირში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ. № 1, მუხლი 5).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1973 წ. 19 ივლისი.

ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საზეიმო მანიფესტაცია მოსკოვში

„ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!“ — ასეთი დევიზით 19 ივლისს მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საზეიმო მანიფესტაცია. მასში მონაწილეობდნენ ათასობით ჭალიშვილი და ჭაბუკი — მოსკოველნი და ლენინგრადის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლნი.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, ერთსულოვანი მოსასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ მეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრომიკოს, ა. ა. გრეჩკოს, ა. ა. პირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, მ. დ. კულაკოვს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პელშეს, ა. ნ. შელეპინს, ბ. ნ. პონომარიოვს, დ. მ. უსტინოვს, ი. ვ. აპანასენკოს, კ. ტ. პატაშევს.

სტუმრად ჩამოსულნებელი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომელნიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მეექვსე სესიის მუშაობაში, ომისა და შრომის ვეტერანები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი, საზღვარგარეთელი სტუმრები.

19.00. სტადიონზე გაისმა კრემლის მაცხოვრის კოშკის კურანტთა რეკვა.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დავალებით საბჭოთა ახალგაზრდობის საზეიმო მანიფესტაციას ხსნის სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟ�-ლნიკოვი.

ყელის „დროშების მარში“. სტადიონის მოედანზე გამოაჭეთ სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის, ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციის, ორდენოსანი კომკავშირული ორგანიზაციების დროშები.

საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა საზეიმო მსვლელობას იწყებს მიდრეშოთ ჯგუფი. მათ მოჰყვება მუშათა კლასის ახალგაზრდა ოთბის წარმომადგენელთა კოლონა — ხუთწლედის მოწინავეები, 124-ვე სრულიად საკავშირო დამკვრეელურ კომკავშირულ მშენებლობათა წარმოგზავნილნი; მოდიან კოლმეურნეკლუბობის ახალგაზრდა წარმომადგენლნი — მინდვრებისა და ფერმების დამკვრეელნი, პურისათვის ბრძოლის მოწინავენი.

ქარხნებისა და მინდვრების ახალგაზრდა გმირები შეკავლეს პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა, სტუდენტთა, პიონერთა და სკოლის მოსწავლეთა კოლონებმა. საზეიმო მარშით ჩაიარეს ნორჩმა პატრიოტებმა — საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის ლაშქრობის მონაწილეთა მე-6 სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟიენლნიკოვი.

დღეს, — ამბობს იგი, — ყველაზე აღმაფრთოვანებელი, ყველაზე საინტერესო და ყველაზე მნიშვნელოვანი დღეა საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალისა, რომელიც უკვე წელიწადზე მეტია მიმდინარეობს ჩვენს დიად სამშობლოში. ფესტივალმა ხელი შეუწყო ლენინური კომკავშირის ყველა რაზმის საქმიანობის გაუმჯობესებას, ჭალიშვილთა და ჭაბუკთა შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, ხუთწლედის გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. იგი ჯახდა დიდმნიშვნელოვანი საშუალება ახალგაზრდობის პოლიტიკური, ესთეტიკური, ფიზიკური, სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-10 მსოფლიო ფესტივალისათვის მოსამზადებლად.

1974 წლის 12 იანვრის 50 წელი შესრულდება იმ ისტორიული დღიდან, როცა კომკავშირს მიენიჭა დიდი ლენინის სახელი. მთელი ამ წლების მანძილზე კომკავშირი ღირსეულად, ამაყად და პირნათლად ატარებს ლენინის სახელს, სიტყვით და საქმით ადასტურებს ლენინური ანდერძის, კომუნისტური პარტიის ფერადების ერთგულებას.

ფესტივალის მთავარი შედეგი ის არის, ხაზგასმით აღნიშნა, ვ. მ. ტიაჟელნიკოვმა, რომ მან კიდევ უფრო განამტკიცა ყველა ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის საბრძოლო ძმობა, მთელი ძალით ცხადყო კომკავშირელთა, ყველა ჭალიშვილისა და ჭაბუკის მონოლითური მეკავშირება მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ლენინი, პარტია — ეს სიტყვები ყველაზე ძვირფასი და უსაზღვროდ ახლობელია თვითეული კომკავშირელისათვის, პიონერისათვის, თვითეული ჭალიშვილისა და ჭაბუკისათვის. ლენინის გონების უდიდესი ენერგია, ლენინის მხურვალე გულისცემა ცოცხლობს ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმეებსა და მიღწევებში, მკაფიოდ აისახება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ საქმიანობაში საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ თქვენ, ძვირფასო ლენინდ ილიას-ძევ, რევოლუციური, კომუნისტური აღზრდის პირველი სკოლა გაიარეთ ლენინური კომკავშირის რიგებში. და თქვენი საბრძოლო მჭეფარე კომკავშირული ჭაბუკობის დღეებში ამხანაგ კომკავშირელებთან - ერთად სოციალისტურ სინამდვილედ აქცევდით ლენინის ოცნებას.

უმძიმესი განსაცდელის დღეებში თქვენ, ისევე როგორც მილიონობით კომუნისტი, კომკავშირელი, წითელი არმიის მებრძოლი პირველი დღიდან გამარჯვების სალუტამდე იყავით დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. ომისშემდგომ პერიოდში ბევრი ძალღონე და ენერგია მოახმარეთ სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას, აღორძინებიდით მეფამირე კომკავშირელებს შრომითი გმირობისათვის.

ლენინური კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გულითადად მიულოცა ლ. ი. ბრეჟნევს მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემია და უსურვა ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი უყორესად ძნელ და კეთილშობილურ საქმიანობაში.

დღეს, თქვა დასასრულ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, როცა ჩვენი პარტია, პლანეტის ყველა კომუნისტი აღნიშნავს რსდმპ მეორე ყრილობის 70 წლისთავს, ლენინური კომკავშირი, საბჭოთა ახალგაზრდობა სიჯაროდ აღუთქვამენ მშობლიურ პარტიას, ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ მუდამ ლენინის რევოლუციური დროშის ერთგული იქნებიან, ისწავლიან, იშეშავებენ და იბრძოლებენ ლენინურად.

სტადიონზე შეკრებილებმა ამ სიტყვებს უპასუხეს! მქუხარე ტაშით, ერთსულოვანი შეძახილით „ვაშა!“. 70-იანი წლების ახალგაზრდობა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვამს, რომ ეზად არის ყველაზე წმიდად შეასრულოს ლენინის ანდაზესი — ისწავლოს კომუნიზმი.

გაისმა საზეიმო მელოდია, და მანიფესტაციის მონაწილენი წითელ მოედანზე გზავნიან დელეგაციას, რომელსაც დავალებული აქვს დიდების გირლანდებით შეამკოს ლენინის მავზოლეუმი და უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

სტადიონზე გაისმის სიმღერა „პარტია ჩვენი მესაჭეა“, მინდორზე შემოდიან მანქანები, რომელთა გაფრენამდა ასახავს სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში მოპოვებული

(დასასრული მე-4 გვ.).

დავაჩქაროთ პურეულის მკა

ჩვენი მიმოხილვა

თავთავიანი მარცვლეულისა კულტურების მოსავლის აღების ცხარე დღეებია. ივლისის პირველ ნახევარში ხშირმა წვიმებმა ეს სამუშაო შეფერხა, მაგრამ მაინც ფართოდ განაგრძეს სოციალისტური შეჯიბრება და ყოველ ხელსაყრელ ამინდში იმკებოდა პურეული. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით რესპუბლიკაში მოსავალი აღებულია 79.162 ჰექტარზე, რაც გეგმის 40 პროცენტს შეადგენს. შარშან კი ამავე პერიოდისათვის მომკილი იყო 20 ათასი ჰექტარით ნაკლები.

მომკილ ფართობებზე შარშანდელთან შედარებით საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3-4 ცენტნერით მეტი მოსავალი. დიდი ფართობები კვლავ მოსამკელია. **წითელწყაროს** რაიონში 25.042 ჰექტარიდან პურეული აღებულია 15.079 ჰექტარზე. **ხიდნაღის** რაიონში მომკა 15.947 ჰექტარი, ანუ გეგმის 79 პროცენტი. საგარეჯოელებმა მომკეს 6.086 ჰექტარი, სულ ასაღებია 12.953 ჰექტარი.

ახმეტის რაიონში მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 70 პროცენტით, **ყვარლის** — 87, **ლაგოდეხის** — 88, **თელავის** — 75, **გურჯაანის** — 66, **გარდაბნის** — 50, **მცხეთის** — 27, **მარნეულის** — 62 **პროცენტით.**

პურეულის მოსავლის აღება ჩაღდება ხაშურის, ქარელის, ასპის, გორის, თეთრი წყაროს რაიონებში. მაღალმთიან ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, ასპინძის, წალკის, დუშეთის, დმანისის, თიანეთის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში პურეულის მკა შედარებით გვიან გაჩაღდება.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ **არც ერთი თავთავი არ დარჩეს ნაწყვერალზე და ნამჯაში.** მაშინვე გავთავისუფლოთ მომკილი ფართობები ნამჯისაგან.

დავაჩქაროთ მკა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარება. მუდამ გვახსოვდეს, რომ მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია!

მაღაროელთა ზეგეგმითი ტონები

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით, საწარმოო რეზერვების გამოყენებით, შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებით წარმატებით ასრულებს ვალდებულებებს, იბრძვის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.. ჩვენი მაღაროს კოლექტივმა ორი კვირით ადრე შეასრულა სასაქონლო და მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების ნახევარი წლის გეგმები და ივლისის ანგარიშში გამოუშვა ათასობით ტონა პროდუქცია.

თვითღირებულების შემცირებით ხუთ თვეში დაგზოგეთ 41 ათასი მანეთი, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 126 ათასი მანეთი შეადგინა.

მაღალნაყოფიერად შრომობენ იმ საწარმოო უბნების კოლექტივები, რომელსაც ა. ბარბაქაძე, ი. სვანიძე უძღვებიან. უმაღლესი ხარისხის პროდუქციას იძლევა ჰპეროქსიდების გამმდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს სსრ დამსაურებული ინჟინრის გ. გაფრინდაშვილის ხელმძღვანელობით.

3. სამხარაძე,

ჭიათურა. ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორი.

რევოლუციის დიდი პოეტი

მე-20 საუკუნის პოეტურ ხმებს შორის განსაკუთრებული ძალით ჟღერს ვლადიმერ მაიაკოვსკის ხმა. „მე თქვენთან მოვალ კომუნისტურ შორეთში“ — ასე თქვა პოეტმა თავის შესახებ. იგი გახდა რევოლუციის პირველი მომღერალი და ამით განსაზღვრა თავისი ადგილი ისტორიაში.

პოეტი-ტრიბუნის იუბილე ფართოდ აღინიშნება საბჭოთა ქვეყანასა და ბევრ სახელმწიფოში. ვ. ვ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილი ღღესასწაულის ცენტრალური მოვლენა გახდა საიუბილეო საღამო, რომელიც 19 ივლისს გაიმართა მოსკოვის საბჭოს სახელობის აკადემიურ თეატრში.

აქ შეიკრიბნენ ცნობილი მწერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, დედაქალაქის საწარმოთა მუშები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საზღვარგარეთელი სტუმრები. საღამოს დაესწრნენ ამხანაგები კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, პ. ნ. დემიჩევი, მ. ს. სოლომენცევი.

— ვლადიმერ მაიაკოვსკი მსოფლიო პროლეტარიატის პირველი პოეტია, — თქვა შესავალ სიტყვაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ს. ტიხონოვმა. — რჩება რა რუს პოეტად, მან სხვებზე უფრო ძლიერ შეძლო მსოფლიოსათვის მოეთხრო პროლეტარული რევოლუციისა და პირველი პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ, შეძლო თავისი ლექსი გაეტანა საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთ.

პოლიტიკა და პოეზია, ხალხურობა და პარტიულობა იყო მისი შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალები, რომელნიც განუყოფელია ერთმანეთისაგან. პოეტმა მთელი ცხოვრება განვლო პარტიის სახელოვანი დროშით, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დროშით, რომელსაც ეძღვნება მისი საუკეთესო პოემა.

მაიაკოვსკი დღეს მსოფლიოს რევოლუციური პოეტების ბელადი გახდა. მისი პოეზიის საერთო-სახალხო დღესასწაული აღინიშნება არა მარტო ყველა ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც, ყველგან საზღვარგარეთ, სადაც მიაღწია პოეტის მქუხარე ხმამ — მისმა მომავლის იმედით შთაგონებულმა ლექსებმა.

ჩვენ აღვნიშნავთ დიდი პოეტის დაბადების დღეს იმ დროს, თქვა დასასრულ ნ. ს. ტიხონოვმა, როცა ჩვენი მძლავრი სახელმწიფოს ადამიანები შეუნელებელი ენერგიით შრომობენ ხალხთა ბედნიერებისათვის. ამ შესანიშნავ დროს მაიაკოვსკის ლექსი ცოცხლობს მომავლის მშენებელთა შორის როგორც ერთგული თანამშრომელი.

სიტყვა მაიაკოვსკის შესახებ წარმოთქვა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ს. ს. ნაროვჩატოვმა. მან აღნიშნა, რომ მაიაკოვსკის პოეზია საბჭოთა კულტურის განუყოფელი ნაწილი გახდა. რევოლუციისადმი, პარტიისა და ხალხისადმი სამსახური პოეტის მთავარი სასიცოცხლო პრინციპი იყო.

საღამოს დასასრულს გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საკ. ფილმ. კორ.).

პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მაიმეზავრა ქუბაში

ბუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რევოლუციური მთავრობის მიწვევით 19 ივლისს კუბის რესპუბლიკის რევოლუციური დღესასწაულისადმი მიძღვნილ მონკადის ყაზარმის შტურმის 20 წლისთავის ზეიმზე მოსკოვიდან ჰავანაში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი. ვ. ი. დოლგიხი.

პრესკონფერენცია

საპაპშირო პროფსაბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური საბჭოს დელეგაცია ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გენერალური მდივნის ვიქტორ ფეზერის მეთაურობით.

20 ივლისს მოსკოვში შრომის სასახლეში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. შელეპინი.

ვიქტორ ფეზერმა აღნიშნა გულითადობა და სტუმართმოყვარეობა, რაც დელეგაციას გაუწიეს საბჭოთა ქვეყანაში. (საკ.ინ.).

ეპიჭროგის მეშვეობა დღის აღსანიშნავად

საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლეში 20 ივლისს გაიმართა ვაჭრობის მუშაკის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომა გახსნა სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ კ. გურულამ.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდნენ აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის მინისტრი ლ. ბგანბა, თბილისის ფირმა „ბავშვთა სამყაროს“ გამყიდველი ლ. ალტუნაშვილი, ეკონომიკურის გამგეობის თავმჯდომარე კ. შავიშვილი, რესტორან „არაგვის“ წარმომადგენელი გეგეჭკორი, მზარეული ოსტატი გ. გელოვნიშვილი, თბილისის სტატისტიკის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. გაჩიჩილაძე, თბილისის მესამე კვებავაჭრობის დირექტორი მ. აბრამია და სხვები.

სხდომის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყველა მუშაკისადმი.

საზეიმო სხდომაში მონაწილეობდნენ: ზ. პატარიძე, ბ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობის, საკვების და საყოფაცხოვრებო ორგანიზაციის განყოფილების გამგე შ. ბერიანიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. ჯანელიძე. (საქინფორმი).

საბჭოთა ავიაციის ცნო ავღანეთის რესპუბლიკა

საბჭოთა მთავრობამ, რომელიც ხელმძღვანელობს ავღანელი ხალხისადმი უცვლელი მეგობრობის გრძნობებით, ოფიციალურად ცნო ავღანეთის რესპუბლიკა. (საკ.ინ.).

ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!

კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საზეიმო მანიფესტაცია მოსკოვში

„ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!“ — ასეთი დევიზით 19 ივლისს მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის საზეიმო მანიფესტაცია. მასში მონაწილეობდნენ ათასობით ჭალიშვილი და ჭაბუკი — მოსკოველნი და ლენინგრადის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების წარმომადგენლნი.

მქუხარე ხანგრძლივი ტაშით, ერთსულოვანი მოსასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ მეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ი. ვ. ანდროპოვს, ა. ა. გრომიკოს, ა. ა. გრეჩკოს, ა. ა. პირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, მ. დ. კულაკოვს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პელშეს, ა. ნ. შელეპინს, ბ. ნ. პონომარიოვს, დ. მ. უსტინოვს, ი. ვ. აპანასენკოს, კ. ტ. პატაშევს.

სტუმრად ჩამოსულნებელი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომელნიც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მეექვსე სესიის მუშაობაში, ომისა და შრომის ვეტერანები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლნი, საზღვარგარეთელი სტუმრები.

19.00. სტადიონზე გაისმა კრემლის

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ შექმნა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური პირობები ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის.

მოკლე ისტორიული პერიოდის მანძილზე საბჭოთა საზოგადოების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში დამკვიდრდა სოციალისტური იდეოლოგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით წყდება ახალი ადამიანის — კომუნიზმის მშენებლის ჩამოყალიბების ამოცანა.

კაპიტალიზმის ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სახალხო განათლების ნამდვილად დემოკრატიული სისტემა. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ საშუალო და უმაღლესი განათლების მიღების, აგრეთვე სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობის რეალური შესაძლებლობა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის, კულტურული და საგანმანათლებლო დონის განუხრელი ამაღლება, საშუალება მოგვცა შეგვექმნა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის ხელმემწყობი პირობები, თანმიმდევრულად განვეხორციელებინა სავალდებულო რვაწლიანი სწავლება და გადავსულიყავით ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე. ფართოდ განგვეთვითარებინა პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლება.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობა, საწარმოო ძალების განუწყვეტელი ზრდა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დაბეჯითებით მოითხოვენ მოზარდი თაობის ყოველმხრივ განვითარებას, მაღალკვალიფიციური მუშებითა და სპეციალისტებით საბჭოთა ხალხის უზრუნველყოფას, სსრ კავშირის მოსახლეობის ზოგადი და პროფესიული განათლების დონის შემდგომ ამაღლებას.

საშუალო განათლების ყველგან განხორციელება და ზოგადი, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების სრულყოფა ხელს შეუწყობენ საბჭოთა ხალხის კულტურის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერების მიღწევას, გახდებიან გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებით განსხვავებათა თანდათანობით დაძლევის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

სსრ კავშირში სახალხო განათლების მიზანია მოამზადოს კომუნისტური საზოგადოების დიდად განათლებული, ყოველმხრივ განვითარებული აქტიური მშენებლები, რომლებიც აღზრდილი იქნებიან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით, საბჭოთა კანონების და სოციალისტური მართლწესრიგის პატივისცემის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები, რომლებიც წარმატებით იშრომებენ სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვადასხვა დარგში, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმიანობაში, მზად იქნებიან თავდადებით დაიცვან სოციალისტური სამშობლო, დაიცვან და აშენაონ მისი მატერიალური და სულიერი სიმდიდრენი, გაუფრთხილდნენ და დაიცვან ბუნება. სსრ კავშირის სახალხო განათლებამ უნდა უზრუნველყოს საბჭოთა ადამიანის სულიერ და ინტელექტუალურ მოთხოვნილებათა განვითარება და დაკმაყოფილება.

განათლება სსრ კავშირში ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმეა. სახელმწიფო, ოჯახი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ერთობლივი მეცადინეობით უზრუნველყოფენ მოზარდი თაობის აღზრდასა და განათლებას. სახალხო განათლების განვითარებაში განსაკუთრებული როლი მიეკუთვნებათ პედაგოგიურ მუშაკებს, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს ახალგაზრდა თაობის სწავლების სათანადო ხარისხისა და კომუნისტური აღზრდისათვის პროფესიული და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება.

საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობა აქტიურად უნდა ემსახურებოდეს ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების საქმის სრულყოფას, საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ დარგში სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

□ □ □

ᲙᲐᲠᲘ I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. საბჭოთა სახალხო განათლების კანონმდებლობის ამოცანები

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა აწესრიგებს საზოგადოებრივ ურთიერთობას სახალხო განათლების დარგში იმ მიზნით, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილოს საბჭოთა მოქალაქეების საჭიროებანი და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მოთხოვნილებანი მოზარდი თაობის განათლებასა და კომუნისტურ აღზრდაზე, უზრუნველყოს სახალხო მეურნეობა შესაბამისი კვალიფიკაციის მუშებითა და სპეციალისტებით.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობა შედგება ამ საფუძვლებისაგან და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის სხვა აქტებისაგან, რომლებიც საფუძვლების შესაბამისად გამოიცემა.

მუხლი 3. სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ განათლების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს სავალდებულო ზოგადი რვაწლიანი განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების თანრთა გავითარება ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების კავშირის საფუძველზე, სწავლება სკოლებში დედაენაზე, სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, ყველა სახეობის უფასო განათლება, სახელმწიფო სტიპენდიების და მოსწავლეებისა და სტუდენტებისადმი სხვა სახეობის მატერიალური დახმარების სისტემა, შრომელთა სხვადასხვა ფორმის საწარმოო სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზაცია.

მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდისათვის ყველაზე ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის აწესებს შესაბამის შეღავათებს.

მუხლი 4. სსრ კავშირის სახალხო განათლების ძირითადი პრინციპები

სსრ კავშირის სახალხო განათლების ძირითადი პრინციპებია:

1) სსრ კავშირის ყველა მოქალაქის თანასწორობა განათლების მიღებაში მათი რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად;

2) სავალდებულო განათლება ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის;

3) ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების სახელმწიფო და საზოგადოებრივი ხასიათი;

4) სწავლების ენის არჩევის თავისუფლება: სწავლება დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე;

5) ყველა სახეობის უფასო განათლება, მოსწავლეთა ნაწილის სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე შენახვა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სტიპენდიით უზრუნველყოფა და მათთვის სხვა მატერიალური დახმარების გაწევა;

6) სახალხო განათლების სისტემის ერთიანობა და ყველა ტიპის სასწავლებელთა თანამიმდევნობა, რაც უზრუნველყოფს სწავლების უდაბლესი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას;

7) სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ერთიანობა; სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის თანამშრომლობა ბავშვებისა და ახალგაზრდობის აღზრდაში;

8) მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კავშირი ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან;

9) განათლების მეცნიერული ხასიათი, მისი განუწყვეტელი სრულყოფა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უახლეს მიღწევათა საფუძველზე;

10) განათლებისა და აღზრდის ჰუმანისტური და მაღალზნეობრივი ხასიათი;

11) ორივე სქესის პირთა ერთად სწავლება;

12) განათლების საერთო ხასიათი, რომელიც გამორიცხავს რელიგიის გავლენას.

მუხლი 5. სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემა

სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემა მოიცავს:

სკოლამდელ აღზრდას;
ზოგად საშუალო განათლებას;
სკოლისგარეშე აღზრდას;
პროფესიულ-ტექნიკურ განათლებას;
საშუალო სპეციალურ განათლებას;
უმაღლეს განათლებას.

მუხლი 6. სსრ კავშირის კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

სახალხო განათლების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სახით განეკუთვნება:

1) სსრ კავშირის სახალხო განათლების ხელმძღვანელობისა და მართვის სისტემის საერთო პრინციპების დადგენა;

2) სახალხო განათლების განვითარების საერთო-საკავშირო გეგმებისა და ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

3) სსრ კავშირის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; საკავშირო დაქვემდებარების სახალხო განათლების სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

4) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების ტიპების დადგენა, მათი დებულებების (წესდებების) დამტკიცება, სასწავლებლებში მიღების ასაკისა და სწავლების ვადების დადგენა;

5) საკავშირო დაქვემდებარების უმაღლესი სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

6) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების შტატების განსაზღვრის, მუშაკთა შრომის ნორმირებისა და ანაზღაურების წესის დადგენა;

7) ყველა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების მიერ სასწავლო-მეთოდიკური ხელმძღვანელობის საერთო პრინციპების დადგენა, სასწავლო გეგმების დამტკიცება და სასწავლო პროგრამების დამტკიცების წესის განსაზღვრა;

8) სასწავლებლებისა და სახალხო განათლების სხვა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების საერთო-საკავშირო გეგმების დადგენა;

9) იმ პირთა მატერიალური დახმარების სახეობათა და ნორმათა დადგენა, რომლებიც სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში სწავლობენ და იზრდებიან;

10) სახელმწიფო კონტროლი სახალხო განათლების დარგში და მისი განხორციელების წესის დადგენა;

11) სახალხო განათლების დარგში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი სისტემის დადგენა;

12) სახალხო განათლების სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 7. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია სახალხო განათლების დარგში

მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას მისი სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სახელმწიფო მართვის ორგანოების სახით სახალხო განათლების დარგში განეკუთვნება:

1) სახალხო განათლების განვითარების რესპუბლიკური გეგმებისა და კვალიფიციურ მუშათა და სპეციალისტთა მომზადების გეგმების დადგენა;

2) მოკავშირე რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ხელმძღვანელობა; რესპუბლიკური დაქვემდებარების სახალხო განათლების სისტემის სასწავლო-აღმზრდელობითი, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და საწარმოების მართვა;

3) რესპუბლიკური დაქვემდებარების ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, აგრეთვე საშუალო სპეციალური სასწავლებლების ორგანიზაცია, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

4) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების საწავლო-მეთოდიკური ხელმძღვანელობის განხორციელება დადგენილი წესით;

5) რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარების რესპუბლიკური გეგმების დადგენა;

6) მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახალხო განათლების სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების საქმიანობისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;

7) სახალხო განათლების სხვა იმ საკითხების გადაჭრა, რომლებიც სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე რესპუბლიკის კონსტიტუციისა და ამ საფუძვლების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობას განეკუთვნება.

მუხლი 8. სსრ კავშირში სახალხო განათლების ხელმძღვანელობა

სახალხო განათლების საქმის ხელმძღვანელობას სსრ კავშირის კონსტიტუციის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციების შესაბამისად ახორციელებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და სახელმწიფო მართვის ორგანოები, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები.

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო მართვის ორგანოები მათი დებულებების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, ზოგად საშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს განათლებას, ორგორც წესი, ხელმძღვანელობენ მათ სისტემაში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკების საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მეშვეობით და მართავენ უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებს, აგრეთვე ამუშავებენ სასწავლო, აღმზრდელობითი, მეთოდიკური და მეცნიერული მუშაობის ზოგად დებულებებს, რომლებიც სავალდებულოა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისათვის. მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ხელმძღვანელობენ მათდამი დაქვემდებარებულ სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებს, ახორციელებენ ამ დაწესებულებათა ქსელის განვითარებას, მათი სწორი განლაგებისა და სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს, უზრუნველყოფენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლებას და სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის ხელმძღვანელობას, ეხმარებიან მუშაობაში საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებულ პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებს.

მუხლი 9. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების დაქვემდებარება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი არის სახელმწიფო ორგანოების გამგებლობაში. ცალკეულ სახეობათა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი შეიძლება იყოს აგრეთვე კოლმეურნეობების, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამგებლობაში.

მუხლი 10. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელობა

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების ხელმძღვანელობას ახორციელებს შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების გამგე, დირექტორი, რექტორი, რომელიც თავის მუშაობაში ეყრდნობა პედაგოგიურ კოლექტივსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

სასწავლო, აღმზრდელობითი, მეთოდიკური და მეცნიერული მუშაობის ძირითადი საკითხების კოლეგიური განხილვის უზრუნველსაყოფად სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებაში იქმნება პედაგოგიური საბჭო (უმაღლესი სასწავლებლის საბჭო) პედაგოგიური მუშაკებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან.

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ იმ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა მიზანია მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლების, აღზრდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება.

მუხლი 11. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სახალხო განათლების განვითარებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები აქტიურად მონაწილეობენ სახალხო განათლების განვითარებაში, მშრომელთა საწარმოო სწავლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ეხმარებიან მუშებს, კოლმეურნეებსა და მოსამსახურეებს განათლების მიღებაში.

მუხლი 12. მოქალაქეთა თვითგანათლება

მოქალაქეთა თვითგანათლებისა და კულტურული დონის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სახალხო უნივერსიტეტები, ლექტორიუმები, კურსები, კომუნისტური შრომის სკოლები და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების სხვა საზოგადოებრივი ფორმები.

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები დახმარებას უწევენ მოქალაქეებს თვითგანათლების ორგანიზაციაში.

ᲙᲐᲠᲘ II
სკოლამდელი აღზრდა

მუხლი 13. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდისათვის რაც შეიძლება მეტად ხელშემწყობი პირობების შექმნისა და ოჯახისათვის საჭირო დახმარების გაწევის მიზნით იქმნება საბავშვო ბაღები, საბავშვო ბაღები, ზოგადი და სპეციალური დანიშნულების საბავშვო ბაგა-ბაღები და სხვა საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი.

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვებს იღებენ მშობლების ან მათი შემცვლელი პირების სურვილისამებრ.

მუხლი 14. სკოლამდელი აღზრდის ამოცანები

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებანი ოჯახთან მჭიდრო თანამშრომლობით ახორციელებენ ბავშვთა ყოველმხრივ ჰარმონიულ განვითარებასა და აღზრდას. იცავენ და აკაჟებენ მათს ჯანმრთელობას, უნერგავენ მათ ელემენტარულ პრაქტიკულ ჩვევებსა და შრომის სიყვარულს, ზრუნავენ მათი ესთეტიკური აღზრდისათვის, ამზადებენ ბავშვებს სკოლაში სასწავლებლად, ზრდიან მათ უფროსებისადმი პატივისცემის, სამშობლოსა და მშობლიური მხარის სიყვარულის სულისკვეთებით.

მუხლი 15. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების ორგანიზაცია

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს ქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე მათი ნებართვით სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

მუხლი 16. საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგიური ხელმძღვანელობა და მათი სამედიცინო მომსახურება

საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, პედაგოგიურ ხელმძღვანელობას უწევენ და პედაგოგიური მუშაკებით უზრუნველყოფენ სსრ კავშირის განათლების სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

ბავშვებთან სამკურნალო-პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევიან და საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებს მედიცინის მუშაკებით უზრუნველყოფენ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

ᲙᲐᲠᲘ III
საშუალო განათლება

მუხლი 17. საყოველთაო საშუალო განათლება

სსრ კავშირის მოსახლეობის განათლების დონის შემდგომი ამაღლების მიზნით ყველგან ხორციელდება მოზარდი თაობის საყოველთაო საშუალო განათლება, რაც კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების, მშრომელთა სოციალისტური შეგნებისა და კულტურის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საყოველთაო საშუალო განათლება ხორციელდება საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

ᲙᲐᲠᲘ IV
ზოგადი საშუალო განათლება

მუხლი 18. საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა (ზოგადი საშუალო განათლების მიღების ძირითადი ფორმა) წარმოადგენს ერთიან, შრომითს, პოლიტექნიკურ სკოლას ბავშვთა და ახალგაზრდათა სწავლებისა და აღზრდისათვის.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ერთიანობას უზრუნველყოფენ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციის საერთო პრინციპები, ზოგადი განათლების ძირითადად ერთნაირი შინაარსი და დონე და მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის ეროვნულ თავისებურებათა ყოველმხრივი გათვალისწინება.

მოსწავლეთა პოლიტექნიკური სწავლება, შრომითი აღზრდა და პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება მეცნიერების საფუძვლების შესწავლის, მოსწავლეთა შრომითი სწავლების, სხვადასხვაგვარი კლასგარეშე საქმიანობის ორგანიზაციის, საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის პროცესში, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნების შესაბამისად.

მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესებისა და უნარის განვითარების და მათი პროფესიული ორიენტაციის მიზნით საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლებში ეწყობა ფაკულტატიური მეცადინეობა მოსწავლეთა არჩევით. ამავე მიზნით შეიძლება შეიქმნას ცალკეული საგნების, სხვადასხვა სახეობის შრომის, ხელოვნებისა და სპორტის გაღრმავებული თეორიული და პრაქტიკული შესწავლის სკოლები და კლასები. საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში სათანადო პირობების არსებობისას შეიძლება მოეწყოს საწარმოო სწავლებაც. ზოგადსაგანმანათლებელო ცოდნის სავალდებულო მოცულობა ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში ერთიანი უნდა იყოს.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა ხორციელდება სასწავლო მუშაობის, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მეცადინეობისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომის პროცესში, სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა გაკვეთილი.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის წესდების საფუძველზე.

მუხლი 19. საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მთავარი ამოცანები

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მთავარი ამოცანებია:

განახორციელოს ბავშვებისა და ახალგაზრდების ზოგადი საშუალო განათლება, რომელიც შეესაბამება საზოგადოებრივი და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე მოთხოვნებს, შეიარაღოს მოსწავლენი მეცნიერული საფუძვლების ღრმა და მტკიცე ცოდნით, გამოიმუშაოს მათ სწრაფვა, რომ დღენიადაგ სრულყოფდნენ თავიანთ ცოდნას და შეეძლოთ მისი დამოუკიდებელი შევსება და პრაქტიკული გამოყენება;

ჩამოუყალიბოს ახალგაზრდა თაობას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, ჩაუნერგოს ინტერნაციონალიზმის, საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის გრძნობა;

ჩაუნერგოს მოსწავლეებს მაღალი ზნეობრივი თვისებები კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის მოთხოვნების სულისკვეთებით;

უზრუნველყოს მოსწავლეთა ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება, მათი კულტურა; გაუკაჟოს მათ ჯანმრთელობა, ესთეტიკურად და ფიზიკურად აღზარდოს;

მოამზადოს მოსწავლენი აქტიური შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის.

მუხლი 20. ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში სწავლების ენა

ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისწავლონ დედაენაზე ან სსრ კავშირის სხვა ხალხის ენაზე. მშობლებს ან მათს შემცვლელ პირებს უფლება აქვთ ბავშვებს სურვილისამებრ შეურჩიონ სკოლა, სადაც სწავლება შესაბამის ენაზე წარმოებს. იმ ენის გარდა, რომელზეც სწავლება წარმოებს, მოსწავლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ შეისწავლონ სსრ კავშირის სხვა ხალხის ენა.

მუხლი 21. მოსწავლეთათვის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მოსწავლეთათვის სკოლის ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ოპტიმალური სასკოლო დარაიონება, სოფლად მოსწავლეთა უფასო მგზავრობა სკოლაში და სკოლიდან, სკოლებთან არსებული კეთილმოწყობილი ინტერნატები.

ადგილობრივი პირობების შესაბამისად ცალკე იქმნება დაწყებითი სკოლები I-III (IV) კლასების შემადგენლობით, რვაწლიანი სკოლები I-VIII კლასებისა და საშუალო სკოლები I-X (XI) კლასების შემადგენლობით, ამასთან შენარჩუნებულია ზოგადი საშუალო განათლების ყველა სფეზურის ერთიანობა და თანამიმდევნობა.

მუხლი 22. მოსამზადებელი კლასები

სკოლისათვის იმ ბავშვთა მომზადების მიზნით, რომლებიც დედაენაზე არ ისწავლიან, და აგრეთვე იმ ბავშვთა მოსამზადებლად, რომლებიც არ არიან საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებების აღსაზრდელები, სკოლებში როცა საჭიროა, იქმნება მოსამზადებელი კლასები.

მოსამზადებელი კლასები იქმნება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 23. გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები და ჯგუფები. სკოლა-ინტერნატები

იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საზოგადოებრივი აღზრდა, შეიქმნას უფრო ხელმემწყობი პირობები მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისათვის და ოჯახს გაუწიოს დახმარება მათს აღზრდაში, სასწავლო-მატერიალური ბაზის არსებობისას იქმნება გახანგრძლივებული დღის ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები ან ჯგუფები.

ამავე მიზნით იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ საჭირო პირობები ოჯახში აღსაზრდელად, იქმნება სკოლა-ინტერნატები.

მუხლი 24. საბავშვო სახლები

მშობლების მეურვეობას მოკლებული ბავშვებისა და მოზარდებისათვის იქმნება საბავშვო სახლები, რომლებშიც უზრუნველყოფილია ბავშვებისა და მოზარდების შენახვა, მათი სწავლება და აღზრდა.

მუხლი 25. სპეციალური ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები და სკოლა-ინტერნატები

იმ ბავშვებისა და მოზარდებისათვის, ვისაც ხანგრძლივი კურნალობა სჭირდება, იქმნება ზოგადსაგანმანათლებელო, ვამაჯანსაღებელი სანატორიულ-სატყეო სკოლები, აგრეთვე მათთან ეწყობა სასწავლო მეცადინეობა საავადმყოფოებში, სანატორიუმებში და შინ.

ბავშვებისა და მოზარდებისათვის, რომლებსაც აქვთ ფიზიკური ან გონებრივი განვითარების ნაკლი, რომელიც ხელს უშლის მათ ისწავლონ ჩვეულებრივ ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში, აგრეთვე სჭირდებათ აღზრდის განსაკუთრებული პირობები, იქმნება სპეციალური ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები და სკოლა-ინტერნატები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს სწავლებას, აღზრდას, მკურნალობასა და მომზადებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის.

მუხლი 26. საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლები მომუშავე ახალგაზრდობისათვის

იმ პირთათვის, რომლებიც მუშაობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და არა აქვთ საშუალო განათლება, იქმნება საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლამს (ცვლიანი) და დაუსწრებელი სკოლები.

საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ხელს უწყობენ საღამოს სკოლებში მომუშავე ახალგაზრდობის ჩაბმას, ქმნიან საჭირო პირობებს მუშაობისა და სწავლის შეთავსებისათვის და ამ სკოლების ნორმალური საქმიანობისა და მოსწავლეთა მეცადინეობისათვის.

მუხლი 27. რვაწლიანი განათლების მოწმობა და საშუალო განათლების ატესტატი

იმ პირთ, რომლებმაც რვა კლასი დაამთავრეს, აძლევათ რვაწლიანი განათლების მოწმობა, რომელიც უფლებას ანიჭებს მათ შეიიდნენ საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის მეცხრე კლასში, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლა, აძლევათ საშუალო განათლების ატესტატი.

იმ პირთ, რომლებმაც დაამთავრეს საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო საწარმოო სწავლების სკოლა, აძლევათ საშუალო განათლების ატესტატი და მიღებული სპეციალობის მოწმობა, რომელშიც აღნიშნულია საკვალიფიკაციო კომისიის მიერ მინიჭებული თანრიგი.

მუხლი 28. საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოება ოქროს მედლითა და ქების სიგელით

საშუალო ზოგადსაგანმანათლებელო სკოლის კურსდამთავრებულთა, რომლებმაც განსაკუთრებით გამოჩინეს თავი, აჯილდოებენ ოქროს მედლით „სწავლაში, შრომაში ჩინებული წარმატებებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“. ხოლო იმათ, ვინც განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია სანებში, აჯილდოებენ ქების სიგელით „ცალკეული საგნების შესწავლაში განსაკუთრებული წარმატებებისათვის“.

ᲙᲐᲠᲘ V
სკოლისგარეშე აღზრდა

მუხლი 29. ბავშვთა სკოლისგარეშე დაწესებულებანი

იმ მიზნით, რომ ყოველმხრივ განვითარონ მოსწავლეთა ნიჭი და მიდრეკილებანი, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა, ინტერესი შრომისადმი, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის, სამხედრო საქმისადმი, აგრეთვე მოაწყონ მათი კულტურული დასვენება და გაუკაჟონ ჯანმრთელობა, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ქმნიან პიონერთა სასახლეებსა და სახლებს, ნორჩ ტექნიკოსთა, ნორჩ ნატურალისტთა, ნორჩ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლები

(დასასრული)

მუხლი 38. საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების პრაქტიკა

საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა მოსწავლეების პრაქტიკა იმ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის შედეგად მოსწავლეები იღებენ სპეციალისტებად მუშაობის ჩვეულებს, ტექნიკურ და სასოფლო-სამეურნეო სპეციალობებში კი, ამას გარდა, ერთ-ერთი მუშა პროფესიის კვალიფიკაციას.

მოსწავლეთა პრაქტიკა ეწყობა საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა პრაქტიკის დებულების შესაბამისად, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 39. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთ ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, იძლევათ დიპლომი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

იმ პირთ, რომლებმაც საშუალო სპეციალური სასწავლებლები დაამთავრეს, დიდ წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში, იძლევათ წარჩინების დიპლომი.

ᲙᲐᲠᲘ VIII

უმაღლესი განათლება

მუხლი 40. უმაღლესი სასწავლებლები

უმაღლესი განათლება ხორციელდება უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებში, აკადემიებსა და სხვა სასწავლებლებში, რომლებიც დადგენილი წესით განიკუთვნებიან უმაღლეს სასწავლებლებს.

უმაღლეს სასწავლებლებში შეიძლება მოეწყოს დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლება.

უმაღლეს სასწავლებლებში წარმოებს მოოწყვეტილი სწავლება სპეციალობის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ფორმად იმ პირთათვის, რომლებიც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მუშაობენ.

უმაღლესი სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების დებულების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, და იმ წესდებათა საფუძველზე, რომლებსაც აღნიშნული დებულების შესაბამისად ამუშავებს თვითეული უმაღლესი სასწავლებელი და ამტკიცებს სამინისტრო ან უწყება, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ექვემდებარება.

მუხლი 41. უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანები

უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი ამოცანებია:

მომამზადონ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც დაუფლებული არიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს სპეციალობაში და მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციაში;

ჩაუნერგონ სტუდენტებს მაღალი მორალური თვისებები, კომუნისტური შეგნება, კულტურა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი, საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად მზადყოფნა; უზრუნველყონ სტუდენტთა ფიზიკური მომზადება;

განუწყვეტლივ სრულყონ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი თანამედროვე წარმოების, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მოთხოვნებისა და მათი განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით;

შეასრულონ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობენ სპეციალისტთა მომზადების ხარისხის ამაღლებას, საზოგადოებრივ და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს;

შექმნან ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები;

მოამზადონ სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები;

კვალიფიკაცია აუმაღლონ უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა შემადგენლობას, ავრეთვე სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში დასაქმებულ უმაღლესი განათლების სპეციალისტებს.

მუხლი 42. უმაღლეს სასწავლებლებში შეხვლის უფლება

უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უფლებით სარგებლობენ სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო განათლება. უმაღლეს სასწავლებლებში მიღება წარმოებს იმ წესების შესაბამისად, რომლებსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

მუხლი 43. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკა და კურსდამთავრებულთა სტაჟირება

უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემადგენელი ნაწილია. უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების პრაქტიკა ხორციელდება პრაქტიკის შესახებ დებულების შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

პრაქტიკული ჩვევების სრულყოფისათვის უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულნი სპეციალობაში სტაჟირებას გადიან შესაბამის საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით და უმაღლეს სასწავლებელთა კონტროლით.

მუხლი 44. კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომის გაცემა

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია მიღებული სპეციალობის შესაბამისად, იძლევათ დიპლომი და დადგენილი ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებულებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სწავლაში და თავი გამოიჩინეს სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში, იძლევათ წარჩინების დიპლომი.

მუხლი 45. სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება

სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება ხდება კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლებელთა ფაკულტეტებსა და განყოფილებებზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე და მოწონებულ საწარმოებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

ᲙᲐᲠᲘ IX

მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობანი

მუხლი 46. მოსწავლეთა და სტუდენტთა უფლებანი

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ლაბორატორიებით, კაბინეტებით, აუდიტორიებით, სამკითხველო დარბაზებით, ბიბლიოთეკებთა და სხვა სასწავლო და სასწავლო-დამხმარე დაწესებულებებით, ავრეთვე სპორტული ბაზებით, ნაგებობებით, სპორტული ინვენტარით და სასწავლებელთა სხვა მოწყობილობით.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფენ სტიპენდიებით დახმარებით, საერთო საცხოვრებლებით, ინტერნატებით, სამედიცინო დახმარებით სასწავლებლებში, მათ აქვთ ტრანსპორტით შეღავათიანი ან უფასო მგზავრობის და სხვა სახეობათა მატერიალური დახმარების უფლება.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ მუშაობის ადგილზე დამატებითი შვებულების, შემოკლებული სამუშაო კვირის და სხვა შეღავათების უფლება.

იმ პირთ, რომლებმაც პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები დაამთავრეს, უზრუნველყოფენ სამუშაოთი მიღებული სპეციალობისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.

მოსწავლეებსა და სტუდენტებს უფლება აქვთ თავიანთი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სასწავლო პროცესის, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის საკითხების, ავრეთვე აკადემიური წარმატების, შრომისა და სასწავლო დისციპლინის საკითხებისა და მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლასა და ყოფაცხოვრებასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაში.

მუხლი 47. მოსწავლეთა და სტუდენტთა მოვალეობანი

მოსწავლეები და სტუდენტები მოვალენი არიან სისტემატურად და ღრმად ეუფლებოდნენ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, ისწრაბოდნენ სასწავლო მეცადინეობას, დადგენილ დადებში ასრულებდნენ სასწავლო გეგმითა და პროგრამებით გათვალისწინებულ დავალებებს, იმაღლებდნენ იდეურ და კულტურულ დონეს, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, თვითმმსახურებაში, იცავდნენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულების შინაგანაწესს.

მოსწავლეები და სტუდენტები უნდა იყვნენ დისციპლინიანი და ორგანიზებული, იცავდნენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, უფროსიდაფაფაცებდნენ და განამტკიცებდნენ სოციალისტურ საკუთრებას, იყვნენ შეურიგებელნი ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი, მონაწილეობდნენ კოლექტივის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ᲙᲐᲠᲘ X

პედაგოგიური კადრების მომზადება. პედაგოგიური მოღვაწეობა. სახალხო განათლების მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

მუხლი 48. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიური კადრების მომზადება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების პედაგოგიური კადრების მომზადება ხდება უნივერსიტეტებში, ინსტიტუტებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ცალკეულ სპეციალობებში კი საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მუხლი 49. სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადება

სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების მომზადების ძირითადი ფორმაა ასპირანტურა, რომელიც ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება. ასპირანტურის დებულება ამტკიცდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 50. პედაგოგიური მოღვაწეობა

საბავშვო სკოლამდელ და სკოლისგარეშე დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებად, აღმზრდელებად, პედაგოგებად, საწარმოო სწავლების ოსტატებად და სხვა პედაგოგიურ მუშაკებად სამუშაოდ დაიშვებიან პირნი, რომლებსაც აქვთ შესაბამისი განათლება და პროფესიული მომზადება.

პედაგოგიური ოსტატობის ამაღლების, მასწავლებელთა კადრების შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მიზნით სისტემატურად ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგთა, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებელთა და საწარმოო სწავლების ოსტატთა ატესტაცია.

უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის გაძლიერებულ თანამდებობათა დაკავება ხდება დადგენილი წესის შესაბამისად მოწყობილი კონკურსით და განსაზღვრული ვადით, რომლის გასვლის შემდეგ ეწყობა ამ თანამდებობის პირთა ხელახალი არჩევნები.

ის პირნი, რომლებიც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან, თუ აღმოჩნდა, რომ არ შეესაბამებიან დაკავებულ თანამდებობას დაბალი კვალიფიკაციის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც ხელს უშლის პედაგოგიური და აღმზრდელობითი ფუნქციების შესრულებას, ავრეთვე, თუ ჩაიდენენ ამორალურ საქციელს, რომელიც შეუთავსებელია პედაგოგიური მოღვაწეობის განგრძობასთან, თავისუფლდებიან პედაგოგიური სამუშაოდან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი. 51. პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი

საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება ამ საფუძვლებითა და მათ შესაბამისად მიღებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის აქტები, შესაბამისი სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების დებულებებითა და წესდებებით.

მასწავლებელთა და სხვა პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიულ უფლებებს, პატიოსნებასა და ღირსებას იცავს კანონი.

მუხლი 52. პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ეწყობა უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში, კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, მოწონებულ საწარმოებში, ავრეთვე კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და სხვა სასწავლებლების ხელმძღვანელ მუშაკთა მომზადება წარმოებს უმაღლესი განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების მქონე პირთაგან.

პედაგოგიურ მუშაკთა პროფესიული ცოდნის სრულყოფის ღონისძიებებს ახორციელებს შესაბამისი სახალხო განათლების ორგანოები.

მუხლი 53. პირობები უზრუნველყოფა, რომ პედაგოგიურმა და სახალხო განათლების სხვა მუშაკებმა შეასრულონ პროფესიული მოვალეობანი

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები, სამინისტროები და უწყებანი უზრუნველყოფენ, რომ პედაგოგიურ და სახალხო განათლების სხვა მუშაკებს შეუქმნან წარმატებითი მუშაობისა და კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლების საჭირო პირობები, მისცენ კანონით დადგენილი შეღავათები და უპირატესობანი, ავრეთვე განუწყვეტლივ ზრუნავენ პედაგოგიურ მუშაკთა ავტორიტეტისათვის, მათი შრომისა და სამუშაო დროის სწორად გამოყენებისათვის, რათა არ მოაცდინონ ისინი უშუალო მოვალეობათა შესრულებას.

მუხლი 54. შეღავათები და უპირატესობანი

კანონმდებლობის შესაბამისად სახალხო განათლების მუშაკები სარგებლობენ გახანგრძლივებული შვებულებით, რომელსაც სახელმწიფო ანაზღაურებს, უფასო საცხოვრებელი ფართობით, გათბობითა და განათებითურთ სოფლად. უპირატესობებით აპენსიო უზრუნველყოფის დარგში და სხვა შეღავათებითა და უპირატესობებით.

მუხლი 55. სახალხო განათლების მუშაკთა წახალისება განსაკუთრებული დამსახურებისათვის

მოზარდი თაობის სწავლებასა და აღზრდაში და სპეციალისტთა მომზადებაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის სახალხო განათლების მუშაკებს წარადგენენ დადგენილი წესით:

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დასაჯილდოებლად;

სახელობითი მედლებით. წარჩინების მედლებითა და ნიშნებით დასაჯილდოებლად, რომლებიც სახალხო განათლების მუშაკებისათვის არის დაწესებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

ᲙᲐᲠᲘ XI

მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა უფლება-მოვალეობანი ბავშვთა აღზრდასა და სწავლებაში

მუხლი 56. მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა უფლებანი

მშობლებსა და მათ შემცვლელ პირებს უფლება აქვთ:

მიაბარონ ბავშვები აღსაზრდელად და სასწავლებლად საბავშვო სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ავრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ ან საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში;

მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის საკითხების განხილვაში, კლასგარეშე, სკოლისგარეშე და გამაჯანსაღებელ მუშაობაში იმ სასწავლო-აღმზრდელობითს დაწესებულებებში, სადაც მათი შვილები სწავლობენ და იზრდებიან;

აირჩიონ და არჩეულ იქნენ სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მშობელთა საზოგადოებრივ კომიტეტები (საბჭოებში).

მუხლი 57. მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა მოვალეობანი

მშობლები და მათი შემცვლელი პირნი მოვალენი არიან:

აღზარდონ ბავშვები მაღალი კომუნისტური ზნეობის, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩაუნერგონ მათ შრომითი ჩვევები და მომამზადონ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობისათვის, იზრუნონ ბავშვთა ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის.

შიაბარონ ბავშვები სკოლაში სასკოლო ასაკის მიღწევისთანავე, უზრუნველყონ, რომ მოსწავლეები დადიოდნენ სასწავლებლებში, არ აცდენდნენ მეცადინეობას უმიზეზოდ.

შექმნან საჭირო პირობები, რომ ბავშვებმა დროზე მიიღონ საშუალო განათლება და პროფესიული მომზადება.

ოჯახში აღზრდა ორგანულად უნდა იყოს შეხამებული სასწავლებლების, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების აღმზრდელობითს მუშაობასთან.

მუხლი 58. პედაგოგიური ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში

სახალხო განათლების ორგანოები და დაწესებულებები მეცნიერებისა და კულტურის ორგანოებთან და დაწესებულებებთან, პედაგოგიურ საზოგადოებებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფენ პედაგოგიური ცოდნის გავრცელებას მოსახლეობაში, პედაგოგიურ დახმარებას უწევენ მშობლებსა და მათ შემცვლელ პირებს ბავშვებისა და მოზარდების აღზრდაში.

ᲙᲐᲠᲘ XII

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზა

მუხლი 59. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ბახსნის პირობები

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებანი შეიძლება გაიხსნას მხოლოდ მაშინ, თუ არის შესაბამისი შენობები, სასწავლო მოწყობილობა და პედაგოგთა კადრები.

მუხლი 60. სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობათა გამოყენება

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობებს იყენებენ მხოლოდ პირდაპირი დანიშნულებით.

მუხლი 61. სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება

სახალხო განათლების დაწესებულებათა სასწავლო-მატერიალური ბაზის განვითარება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის, ავრეთვე კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით, რაც სახალხო-სამეურნეო გეგმით არის გათვალისწინებული. ამ მიზნით შეიძლება ავრეთვე გამოყენებულ იქნეს საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ და სხვა ორგანიზაციათა სახსრები მათი თანხმობით.

სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების შენობები უნდა აიგოს დადგენილი წესით დამტკიცებული პროექტებით.

მუხლი 62. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მონაწილეობა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, კოოპერაციული, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები დადგენილი წესით მონაწილეობენ სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

ᲙᲐᲠᲘ XIII

პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 63. პასუხისმგებლობა სახალხო განათლების კანონმდებლობის დარღვევისათვის

თანამდებობის პირთ და მოქალაქეებს, რომლებმაც დაარღვიეს საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების, ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის კანონმდებლობა ან დაუშვეს კანონმდებლობის სხვა დარღვევანი სახალხო განათლების დარგში, ეკისრებათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

ᲙᲐᲠᲘ XIV

უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მიიღონ განათლება სსრ კავშირში. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

მუხლი 64. უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლება მიიღონ განათლება სსრ კავშირში

სსრ კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირთ უფლება აქვთ მიიღონ განათლება სსრ კავშირში საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 65. საერთაშორისო ხელშეკრულებანი და შეთანხმებანი

თუ საერთაშორისო ხელშეკრულებით ან საერთაშორისო შეთანხმებით, რომელშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, დადგენილია სხვა წესები, ვიდრე ისინი რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობით, გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

განვლილ პერიოდში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, თქვა მან, განაგრძო რა მუშაობა სკკპ XXIV კონგრესის დირექტივებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის, გამოსცა მთელი რიგი ბრძანებულებანი სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული შენებლობის საკითხებზე. ეს ბრძანებულებანი მიზნად ისახავენ ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ ამაღლებას, საბჭოთა კანონმდებლობის სრულყოფას, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. ეს ბრძანებულებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად შემოტანილია უმაღლესი საბჭოს განსახილველად.

1972 წლის 20 სექტემბერს მიღებული იყო სსრ კავშირის კანონი დეპუტატთა სტატუსის შესახებ. მან გაიაზართოვა საბჭოების ყველა რგოლის დეპუტატთა რწმუნებანი, გაალიერა დეპუტატთა საქმიანობის გარანტიები. გადაიდგა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განმტკიცების გზაზე.

კანონის ძალაში შესვლამ გამოიწვია იმის საჭიროება, რომ შეეესაბამოთ მას საკავშირო კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება. 1973 წლის 9 მარტს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში. ეს ცვლილებანი ეხება საავტორო უფლებათა დაცვის საკითხებს. კერძოდ, გათვალისწინებულია საავტორო უფლების დაცვის ვადის განგრძობა. დაწესდა, რომ საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელი სიცოცხლის მაჩსილზე და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წელიწადს, და არა 15 წელიწადს, როგორც ეს უწინ იყო. რამდენადმე შეიცვალა სხვა ენებზე ნაწარმოებთა თარგმნის წესი. ახალი ბრძანებულების შესაბამისად ნაწარმოების თარგმნა სხვა ენაზე მისი გამოცემის მიზნით დაშვებულია მხოლოდ და მხოლოდ ავტორის ან მისი უფლებამონაცვლეების თანხმობით. ბრძანებულება ძალადაკარგულად ცნობს 1928 წლის საავტორო უფლების საფუძვლებს, რომლებიც ახლა მოქმედებდა.

1973 წლის 13 მარტს მიღებულია ბრძანებულება, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ეკიპაჟების წევრთა უფლებების დაცვის გაძლიერებას ჯანმრთელობის შერყევასა თუ გარდაცვალებასთან დაკავშირებული ზარალის ანაზღაურების საკითხების გადაჭრის დროს. ამასთან დაკავშირებით შეტანილია შესაბამისი დამატებანი სსრ კავშირის სამოქალაქო კოდექსში და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში.

1973 წლის 25 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულება „დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის გაწეული სახსრების ანაზღაურების შესახებ“. დადგენილია, რომ ეს სახსრები სასამართლო წესით გადახდებად დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირებს, რომლის შედეგად ზიანი მოუვიდა მოქალაქეთა კანმრთელობას.

1973 წლის 16 მაისის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნო 1960 წლის 25 იანვრის ბრძანებულება „წინა სამუშაოდან საკუთარი სურვილით წასული დროებით შრომისუუნარო მუშებისა და მოსამსახურეების დახმარების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით საკუთარი სურვილით წინა სამუშაოდან წასული ცალკეული კატეგორიის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის დგინდება უფლების სტაჟის შენარჩუნების წესი, რომელიც რამდენადმე განსხვავდება წინათ მოქმედი წესისაგან.

1973 წლის 8 ივნისს გამოიცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მილიციის მოვალეობებისა და უფლებების საფუძვლების შესახებ“. ბრძანებულება მიზნად ისახავს საბჭოთა მილიციის საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების შემდგომ სრულყოფას. მასში განსაზღვრულია ზოგადი პრინციპები მილიციის მუშაობისა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, თავიდან აგვაცილოს და აღკვეთოს დანაშაული და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედება. ბრძანებულების მიღება ხელს შეუწყობს მილიციის ავტორიტეტისა და მისი საქმიანობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის კიდევ უფრო ამაღლებას.

სანტარული ზედამხედველობის გაძლიერების მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ივნისს გამოსცა ბრძანებულება, რომლითაც სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს, ავრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს სამედიცინო სამსახურებს მიანიჭა უფლება ჯარიმა დააკისრონ სანიტარული წესების დარღვევისათვის.

მომხსენებელმა შემდეგ განაცხადა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დამტკიცა საერთაშორისო კონვენციები საჰაერო ხომალდების უკანონო მოტაცებასთან ბრძოლისა და იმ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ, რომლებიც მიმართულია სამოქალაქო ავიაციის უშიშროების წინააღმდეგ, კონვენციების შესაბამისად და საშინაო და საერთაშორისო ხაზებზე ფრენის უშიშროების ამაღლების, საჰაერო ხომალდების მგზავრთა და ეკიპაჟების წევრთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერების მიზნით 1973 წლის 3 იანვარს მიღებულია ბრძანებულება „საჰაერო ხომალდის მოტაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“. ბრძანებულება ითვალისწინებს ჰაერში ყაჩაღობის ჩამდენ პირთა მკაცრად დასჯას — 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ან სიკვდილით დასჯას. ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 9 მარტს ბრძანებულებით დამატებანი შეიტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ მ. ჯ. გიორგაძის მოხსენების შინაარსი

დამატებანი და ცვლილებანი შეიტანა სსრ კავშირის 1938 წლის კანონში „დეპუტატებისათვის დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

1972 წლის 25 დეკემბერს მიღებულია ბრძანებულება „მუშა-მოსამსახურეთა 70 მანეთამდე თვიური ხელფასის და 90 მანეთამდე თვიური ხელფასის შეწყვეტისა და 90 მანეთამდე თვიური ხელფასის გადასახადების განაკვეთების შესახებ“. გათვალისწინებულია, რომ ბრძანებულება ძალაში შედის თანდათან სსრ კავშირის რაიონებში მიხედვით, ამავე დროს შესაბამის რაიონში მინიმალური ხელფასი იზრდება თვეში 70 მანეთამდე სახალხო მეურნეობის საწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეებისათვის. ბრძანებულება ვრცელდება სამხედრო მოსამსახურეებზე, მოსწავლეებსა და სხვა მოქალაქეებზე, რომლებიც გადასახადით იბეგრებიან მუშებთან და მოსამსახურეებთან ერთნაირ საფუძველზე.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირი შეუერთდა საავტორო უფლების შესახებ მსოფლიო (ჟენევის) კონვენციას, თქვა შემდეგ მ. ჯ. გიორგაძემ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 21 თებერვლის ბრძანებულებით ცვლილებანი და დამატებანი შეიტანა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში. ეს ცვლილებანი ეხება საავტორო უფლებათა დაცვის საკითხებს. კერძოდ, გათვალისწინებულია საავტორო უფლების დაცვის ვადის განგრძობა. დაწესდა, რომ საავტორო უფლება მოქმედებს ავტორის მთელი სიცოცხლის მაჩსილზე და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წელიწადს, და არა 15 წელიწადს, როგორც ეს უწინ იყო. რამდენადმე შეიცვალა სხვა

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

„მუშა-მოსამსახურეთა 70 მანეთამდე თვიური ხელფასის გადასახადების შეწყვეტისა და 90 მანეთამდე თვიური ხელფასის გადასახადების განაკვეთების შემცირების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **აწყვენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 დეკემბრის ბრძანებულება „მუშა-მოსამსახურეთა 70 მანეთამდე თვიური ხელფასის გადასახადების შეწყვეტისა და 90 მანეთამდე თვიური ხელფასის გადასახადების განაკვეთების შემცირების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბ

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 08 ბრძანებულებათა დაძალისების საბოლოოზე, რომლებსაც ცვლილებანი და დამატებანი შეაქვთ სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1973 წლის 9 მარტისა — „სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის ცვლილებისა და დამატების თაობაზე“;

1973 წლის 19 აპრილისა — დეპუტატებისათვის „დეპუტატის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის კანონში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი კრემლი, 1973 წ. 19 ივლისი.

კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მილიციის ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 8 ივნისის ბრძანებულება „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა მილიციის ძირითადი მოვალეობებისა და უფლებების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ბ. ი. ბორონოვის განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 მაისის ბრძანებულება სსრ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნიკანორ ივანეს-ძე **ვორონოვის** განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. დ. ნ. პოლიანსკის დანიშვნისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ვ. ვ. მაცკევიჩის განთავისუფლების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე“

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. დმიტრი სტეფანეს-ძე **პოლიანსკის** დანიშვნისა და ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ;

1973 წლის 2 თებერვლისა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე **მაცკევიჩის** განთავისუფლების შესახებ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

„სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. ნ. ნ. ბრეჟნევის დანიშვნისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ბ. ი. ბორონოვის განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1973 წლის 2 თებერვლისა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრად ამხ. ნიკანორ ივანეს-ძე **ბრეჟნევის** დანიშვნისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ბორის ივანეს-ძე **ბორონოვის** განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

„სსრ კავშირის ნარკომფინანსების მინისტრად ამხ. ბ. ბ. ბეგიჩევის დანიშვნისა და სსრ კავშირის ნარკომფინანსების მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ა. ნ. ტოლუბეევის განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 მაისის ბრძანებულება სსრ კავშირის ნარკომფინანსების მინისტრად ამხ. ბორის ბორის-ძე **ბეგიჩევის** დანიშვნისა და სსრ კავშირის ნარკომფინანსების მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ალექსანდრ ნიკანორის-ძე **ტოლუბეევის** განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დადგენილება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს

„სსრ კავშირის ნავთობის მოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად ამხ. ვ. ა. სალუგინის დანიშვნისა და სსრ კავშირის ნავთობის მოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ალექსეი ალექსეის-ძე **ტაროტინის განთავისუფლების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე**

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 7 მაისის ბრძანებულება სსრ კავშირის ნავთობის მოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრად ამხ. ალექსეი ალექსეის-ძე **ტაროტინის** დანიშვნისა და სსრ კავშირის ნავთობის მოპოვებისა და ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობისაგან ამხ. ვასილი ალექსანდრეს-ძე **სალუგინის** განთავისუფლების შესახებ პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1973 წ. 19 ივლისი.

დიდი მოწოდება

„ნერგები“ კინოფესტივალის ეკრანზე

ფესტივალის დღიური

მოსკოვის VIII საერთაშორისო კინოფესტივალის დევიზი „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის!“ აერთიანებს ყველას, ვინც ამ დღეებში სტუმრად იმყოფება ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში მსოფლიოს პროგრესული კინოხელოვნების დიდ ფორუმზე...

ნამდვილ ზეიმად გადაიქცა ქართული მხატვრული სრულმეტრაჟიანი საკონკურსო ფილმის „ნერგების“ (დამდგმელი რეჟისორი რ. ჩხეიძე, სცენარი ს. ჟღენტისა) ჩვენება. ფილმის დამთავრების შემდეგ მაყურებლებმა ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს ხუთათის შემქმნელ კოლექტივს. ჩვენ ვთხოვეთ კინოფესტივალის სტუმრებს გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილებანი ქართული ფილმის შესახებ. აი რა თქვეს მათ:

სერგეი იუტკევიჩი (რეჟისორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, სსრკ სახალხო არტისტი): „ბედნიერი ვარ, რომ საბჭოთა კინოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საშუალო თაობა, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელად მიმაჩნია რეგაზ ჩხეიძე, ღირსეულად აგრძელებს საბჭოთა კინემატოგრაფის საახალო გამარჯვებების დიდებულ ტრადიციებს. „ნერგები“ ნათელი ფილმია. ეს იყო მთელი ჩვენი კინოხელოვნების მორიგი, გამარჯვება. რეზო ჩხეიძე ჩემი საყვარელი მოწაფე იყო ამ ორი ათეული წლის წინათ“.

ნინა პიბინა (კინოკრიტიკოსი ინგლისი): „ინგლისში ძალიან პოპულარულია საქართველოს კინოხელოვნება. პირველი დიდი ქართველი რეჟისორი, რომლის შემოქმედებას მე პირადად ბევრი წერილი ვუძღვენი, იყო მიხეილ ჭიაურელი. ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა რ. ჩხეიძის „ნერგებმა“. მომხიბლა ამ ადამიანურობის ჰიმნი. გულწრფელად ვუღიცავ ქართულ კინოს ახალ გამარჯვებას“...

კირა პარამანოვა (პროფესორი, საბავშვო ფილმების ჟიურის წევრი). „სიტყვები არ მყოფნის ჩემი აღტაცების გადმოსაცემად... ეს წუთი ჩემთან მოგიდნენ და რ. ჩხეიძის ფილმის წარმატება მომილოცეს ბელგიის კინოს თვალსაჩინო მოღვაწეებმა: ბელგიის „პროგრესფილმის“ გენერალურმა დირექტორმა გელიუკ დიდიენ და ნაციონალური საბავშვო ცენტრის პრეზიდენტმა ბიერნო როლანმა. მათ გადაწყვეტილი აქვთ ფილმის შესყიდვა“...

თამარ მაკაროვა (სსრკ სახალხო არტისტი). „ქართული ფილმების მიმართ არასდროს არ ვყოფილვარ ფეოლერილი, რადგან ყველაფერი ქართული ჩემთვის მახლობელია. ეს ფილმი ძალზე ჰუმანურია“.

საფრანგეთის მრავალრიცხოვანი კინოდელეგაციის სახელით რეჟისორ რ. ჩხეიძეს, სცენარისტ ს. ჟღენტს და მსახიობ რ. ჩხიკვაძეს წარმატება მიულოცეს და საუკეთესო სურვილები გადასცეს პოპულარულმა ფრანგმა მსახიობმა **ანა კარინამ** და რეჟისორმა **პასკალ ობიემ...**

რეზო ჩხეიძე (კინორეჟისორი): „ეს იყო ჩვენი ფილმის პირველი შეხვედრა როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მაყურებელთან. ძალიან ვღელავდით. გვიხარია, რომ ქართული ფილმის გმირები ყველასთვის მახლობელი გახდნენ“...

კარგია, რომ ჩვენი რეპუბლიკის მშრომელებს საშუალება ექნებათ ნახონ მეტად საინტერესო კინონარკვევი მოსკოვის კინოფესტივალის შესახებ, რომელსაც იღებს საქართველოს ტელევიზიის გადამღები ჯგუფი კინოგადაცემის უფროსი რედაქტორის რ. გამცემლიძის და ოპერატორ ვლ. ერმაკოვის შემადგენლობით...

მოსკოვის გაზეთებმა მაღალი შეფასება მისცეს რ. ჩხეიძის ფილმს „ნერგებს“. გაზეთ „იზვესტიის“ ფურცლებზე ტ. ალიკეთის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ბორის კომისაროვი წერს „რეზო ჩხეიძის ფილმი „ნერგები“ (სცენარის ავტორი ს. ჟღენტი). აქ, ფესტივალის ეკრანზე უკვე მეორედ ვნახე. ეს არის პოეტური, ბრძნული, ლაკონიური სურათი — ერთი მსახიობის ფილმი, ერთი მრავლისმომცველი და მრავალფეროვანი სახისა, რომელშიც ნათლად ავრძნობა ჭეშმარიტად ეროვნული ხასიათი...

სასტუმრო „როსიას“ საკონცერტო დარბაზი, სადაც ყოველდღე მიმდინარეობს საკონკურსო სურათის ჩვენება, ცარიელდება... გარეთ მოსკოვის ქუჩებში ივლისის თბილი ღამე გველოდება. ჩვენთან ერთად მოსკოველები, მეგობრულად გვიღიმიან: „კარგია, — ამბობენ ისინი, — რომ ჩვენ კიდევ ორი კვირეული მეგობარი შეეძინეთ — მოხუცი ლუკა და პატარა კახა“...

დ. მაჰავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩვენ ლენინისა და პარტიის საქმის ერთგული ვართ!

(დასასრული).

ბულ წარმატებებს. საბჭოთა ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები სავსებით იწონებენ, მთლიანად უჭერენ მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკას.

ახალგაზრდობის მანიფესტაციის მონაწილენი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ულოცავენ მაღალ ჯილდოს — საერთაშორისო ლენინურ პრემიას „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

ახალგაზრდები ერთხმად გაიძახიან: „გილოცავთ!“.

ყველანი ფეხზე დგებიან და მისალმების ნიშნად ალმებს იქნევენ. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“. პიონერებმა ყვავილები მიართვეს პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

დგება საზეიმო წუთი. იგი თითქოს სიმბოლურად გამოხატავს უფროსი თაობებისაგან ახალგაზრდობისათვის დიდების ესტაფეტის გადაცემას. სტადიონზე შემდეგ მანქანა, რომელსაც მოაქვს მარსის მოედანზე მარადიული ცეცხლით ანთებული ჩირაღდანი და კრეისერ „ავრორას“ დროშა. ჩირაღდანსა და დროშას მოაცილებენ კრეისერ „ავრორას“ მეზღვაურთა მოიერიში რაზმის მეთაური ა. ს. ნევოლინი, ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, საბჭოების პირველი ყრილობის დელეგატი ვ. პ. ვინოგრადოვი და სხვა ვეტერანები. მოდის ჯავშანტრანსპორტიორი, რომელსაც მოაქვს კრემლის კედელთან მარადიული ცეცხლით ანთებული ჩირაღდანი და 1945 წლის მაისში რაიხსტაგზე აღმართული საიერიშო ალმები. ალმები უჭირავს ომის ერთ-ერთ გმირს, საბჭოთა კავშირის გმირს პოლკოვნიკ კ. ი. სამსონოვს. შემდეგ მოდის ავტომობილი, რომელსაც მოაქვს მაგნიტკის პირველშენებელი კომკავშირელების მიერ აგებული ლენინდარული კომკავშირული ბრიმედის ალით ანთებული ჩირაღდანი და მეტროშენის, დასავლეთ ციმბირის მეტალურგიული კომბინატის, მაგნიტკის შრომითი დიდებით გასხივოსნებული ისტორიული დროშები. ჩირაღდანი და დროშები ახალგაზრდულ დღესასწაულზე ჩამოიტანეს სოციალისტური შრომის გმირმა ნ. ა. ფენომენოვმა, ა. მ. დიომინმა, ვ. ა. ერიომინმა. წუთიც, და ახალგაზრდული დღესასწაულის თასში სამივე ჩირაღდანით დანთებული ცეცხლი აგიზგიზდა.

მოედანზე არიან ხუთწლედების გმირები და შრომის ვეტერანები. ისინი ხუთწლედის გადამწყვეტ წელს დაწესებულ წითელ დროშებს გადასცემენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული 112 საუკეთესო კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივის წარმომადგენლებს. უფროსი თაობის სახელით ქვეყნის სიჭაბუკის წარმომადგენლებს მიესალმა მოსკოვის ფრუნზეს სახელობის ფაბრიკის მქსოველი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი მ. ს. ივანიკოვა.

შემდეგ სოციალისტური შრომის გმირებმა ხუთწლედების სახელგანოქმუმლმა დამკვრელებმა განაწესები გადასცეს მოსკოვის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს.

ლენინური კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის, ნორჩი პიონერების სახელით სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მიურის წევრმა, „ურალმაშის“ საწარმოო გაერთიანების მუშამ პავლე მაშარაკინმა დადო ფიცი, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მუდამ ვ. ი. ლენინის ანდერძის, კომუნისტური პარტიის საქმის ერთგული იქნება. მანიფესტაციის მონაწილენი იმეორებენ ფიცის სიტყვებს.

ყველა აღფრთოვანებით ასრულებს „ინტერნაციონალს“.

შემდეგ იწყება დღესასწაულის მხატვრული ნაწილი. თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ სპორტსმენები.

და აი დგება ამაღლებული მომენტი. აინთო ჩირაღდანი, რომელსაც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ბერლინის მე-10 მსოფლიო ფესტივალზე ჩაიტანენ. ჩირაღდანი აანთო სრულიად საკავშირო ალკა სპატიონიშნის კავალერმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვიდგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ალექსანდრე მედვედმა. ყღერს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. მოტოციკლეტა, რომელიც ჩირაღდანს ჩაიტანს ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში, გზას გაუდგა.

სტადიონზე გაისმის ლოზუნგები: „დიდ ლენინს დიდება!“, „საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას დიდება!“, „კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს დიდება!“, „ლენინურ კომკავშირს დიდება!“. (საკდესი).

„საქართველომ მოგვხიბლა“

იტალიელი სენატორის ინტერვიუ

სინანულით ვტოვებთ უშიშარი ფორე მოსულიშვილის, იტალიის ერთ-ნული გმირის სამშობლოს — საქართველოს, რომელმაც მოგვხიბლა, თქვა თბილისიდან მოსკოვს გამგზავრების წინ საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციის მეთაურმა სენატორმა ბ. ემიდიომ. დელეგაცია რესპუბლიკაში იყო 16-20 ივლისს.

ჩვენი სტუმრობა საქართველოში სასარგებლო და საინტერესო იყო, განაცხადა შემდეგ ბ. ემიდიომ. ჩვენ შევიტყვეთ, თუ რა პრაგრესს მიაღწია ქართველი ხალხის ეკონომიკამ და კულტურამ. დავამყარეთ კონტაქტები საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის თქვენი საზოგადოების მოღვაწეებთან.

მოსკოვში, კიევში, თბილისში — ყველგან, საზგასმით აღნიშნა იტალიელმა სენატორმა, ჩვენ ვნახეთ, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრება აღსავსეა მშვიდობისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის აღმშენებლობითი შრომის პათოსით. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებანი აღაფრთოვანებენ პლანეტის ყველა პატიოსან ადამიანს. საბჭოთა კავშირის მეცადინეობის მეოხებით დაიწყო საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება. ამ საქმეში უდიდესი პირადი წვლილი მიუძღვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს, მე და ჩემი კოლეგები მოხარული ვართ მხურვალედ მივულოცოთ ლ. ი. ბრეჟნევს ის, რომ მას გადაეცა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“.

„იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაციის წევრები იყვნენ სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. აქ ისინი შეხვდნენ ფორე მოსულიშვილის დედასა და ძმებს. საქართველოს მამაცი შვილის საფლავზე, თქვეს მათ, მუდამ ცოცხალი ყვავილებია. იტალიელებს ახსოვთ გმირობა ფორე მოსულიშვილისა, რომელმაც სიცოცხლე გასწირა ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

იტალიელი მეგობრები ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ზ. კვაჭაძეს. საუბარში მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. მგელაძე. „იტალია-სსრ კავშირის“ საზოგადოების წარმომადგენლები შეხვდნენ საქართველოს კულტურის მინისტრს ო. თაქთაქიშვილს. (საქინფორმი).

ვულკანის ცეცხლოვანი სუნთქვა

იუჟნო-სახალინსკი, 19 ივლისი. (საკდესის კორ.). გრძელდება „გამოოვიძებული“ ვულკან ტიატის აქტივობა. ახლადშექმნილი კრატერიდან ვულკანი აფრქვევს დიდძალ ფერფლს, წვრილ ქვებს, უხვად გამოყოფს გაზებს.

როგორც დღეს კუნაშირის კუნძულიდან იტყობინებიან, შეიმჩნეოდა ლავის გადმოღვრა, რამაც ტყის ხანძრები გამოიწვია სამხრეთ და აღმოსავლეთ ფერდობებზე. ახლა ვულკანი და მისი შემოგარენი დაფარულია რამდენიმე კილომეტრი სამაღლის სქელი კვამლის ფარდით.

ᲐᲥᲕᲘᲜᲓᲘ

დღეს, 21 ივლისს, დასავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ სანაპირო რაიონებში მოსალოდნელია მცირე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 26-30, მთაში — 22-26 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობაა მოსალოდნელი. მთიან რაიონებში მცირე წვიმა და ელჭექი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 29-33, მთაში 19-23 გრადუსი სითბო.

თბილისში უნალექო ამინდი იქნება, ტემპერატურა 31-33 გრადუსი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ

ᲞᲠᲐᲚᲐ

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის წარმატებანი

20 ივლისი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოლაპარაკება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, ამ ვიზიტების დროს არაჩვეულებრივად დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების ხელმოწერა, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი თათბირის პირველი ფაზის წარმატება, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება უნიშვნელოვანესი მოვლენებია, რომლებიც წლევანდელ წელს აყენებენ განსაკუთრებულ ადგილზე ომისშემდგომ ისტორიაში. ამას წერს ჩეხოსლოვაკიის გაზეთი „რუდე პრავო“ სტატიაში, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისა და XXIV ყრილობის მეცხრე მშვიდობის პროგრამის განხორციელებას.

სოციალიზმის ძალები, რომელთა ინტერესებს საერთაშორისო ასპარეზზე გამოხატავს საბჭოთა დიპლომატია, სულ უფრო მეტად ხდება საერთაშორისო განვითარების განმსაზღვრელი ძალა, აღნიშნავს გაზეთი.

„რუდე პრავო“ აანალიზებს სსრ კავშირისა და სხვა მომშე სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის უდიდესი წარმატების მიზეზებს და წერს, რომ სკკპ XXIV ყრილობაზე მიღებული საგარეო-პოლიტიკური პროგრამის ყველა პუნქტი სავსებით შეესაბამება მშვიდობისა და საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესებს, ასახავს მილიონობით ადამიანის მისწრაფებას, მშვიდობის პროგრამის წარმატებას საფუძველად უდევს აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობათა ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, დასახულ ამოცანათა რეალობა. გაზეთი აღნიშნავს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის პრინციპულობას, მოქნილობასა და დინამიკურობას, რომელიც ხორციელდება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი პოლიტბიუროს უშუალო ხელმძღვანელობით, სოციალისტური ქვეყნების ერთიანობასა და შეკავშირებას, მათს შეთანხმებულ პოლიტიკურ ხაზს საერთაშორისო ასპარეზზე.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

20 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რ. ნიქსონი, რომელიც ერთი კვირის წინათ მერილენდის შტატის ბეთესდეს სამხედრო-საზღვაო ძალების ჰოსპიტალში მოთავსეს ფილტვების ვირუსული ანთებების გამო, მთლიანად გამოჯანმრთელდა. ეს განაცხადა პრეზიდენტის პირადმა ექიმმა. „პრეზიდენტის გულმკერდის რენტგენოსკოპიის შედეგები ადასტურებენ ჩვენს დასკვნას“, — აღნიშნა მან.

ᲙᲐᲚᲐᲗᲒᲣᲠᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲘᲚᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ბუშლინ ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. თბილისის „დინამომ“ ქ. ლიეპაიას „წითელი მეტალურგი“ მიიღო. პირველი ნახევარი მოიგეს მასპინძლებმა — 47:32. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 93:63 თბილისელთა სასარგებლოდ. ნახევარფინალში გასვლისათვის თბილისელები 26 და 28 ივლისს 2 მატჩს გამართავენ ქ. ფრიაზინოს (მოსკოვის ოლქი) გუნდთან. ამას გარდა დინამოელები მონაწილეობას მიიღებენ „დინამოს“ საკავშირო სამჭოს ჩემპიონატში, რომელიც ქ. ვორონეშოვგრადში გაიმართება.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

მეორე ᲔᲨᲔᲚᲝᲜᲘ

მმოუხვ ზონის მეორე ლიგის გუნდების საკავშირო პირველობაზე გაიმართა მორიგი ტური: ბრიანსკის „დინამო“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 3:1; ვლადიმირის „ტორპედო“-ლანჩხუთის „გურია“ — 4:0, რიაზანის „სპარტაკი“-ფოთის „კოლხეთი“ — 1:0; ვორონეჟის „ტრუდი“-ხაშურის „დინამო“ — 2:0; რიბინსკის „სატურნი“-ჟოლოგდის „დინამო“ — 1:2. კოსტრომის „სპარტაკისა“ და გორკის „ვოლგის“, ტირასპოლის „ზვეზდასა“ და გორის „დინამოს“, კალუგის „ლოკომოტივისა“ და მახარაძის „მერცხლის“ შეხვედრები გადატანილია.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ, ᲞᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲨᲘ...

მაშ ასე, ჩვენთვის ცნობილია მსოფლიო პირველობის 5 პრეტენდენტი რვიდან — სპასკი, პეტროსიანი, კორჩნოი, კარპოვი, ბირნი. რჩება 3 ვაკანტური ადგილი, რომლისთვისაც დღეს, 21 ივლისს იწყება ბრძოლა ბრაზილიის ქალაქ პეტროპოლისში, პატარა კურორტზე რიო-დე-ჟანეიროს ახლოს.

უპირველეს ყოვლისა, გადავხედოთ მონაწილეთა გვარებს და მათს მონაცემებს პროფ. ელოს კოეფიციენტების ცხრილში. ბრძოლაში ეზმებიან პორტაში (უნგრეთი) — 2645, პოლუგაევსკი (საბჭოთა კავშირი) — 2640, პორტი (ჩეხოსლოვაკია) — 2610, კერესი (საბჭოთა კავშირი) — 2605, სმისლოვი (საბჭოთა კავშირი) — 2600, გელერი (საბჭოთა კავშირი) — 2590; ბრონშტეინი (საბჭოთა კავშირი) — 2585. პანი (არგენტინა) — 2580, მეკინგი (ბრაზილია) — 2575, ხავონი (საბჭოთა კავშირი) — 2570, ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) — 2570, რეშევსკი (აშშ) — 2565, ივკოვი (იუგოსლავია) — 2535, გეორგიუ (რუმინეთი) — 2530, ჰუკი (შვეიცარია) — 2445, კაგანი (ისრაელი) — 2405, ბაიასასი (კანადა) — 2395, ტანი (სინგაპური) — 2340. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საშუალო კოეფიციენტი (2525) თითქმის ზუსტად ემთხვევა ლენინგრადის საზონათაშორისოს სამუალო კოეფიციენტს.

თქმა არ უნდა, ტურნირი უდიდეს ინტერესს იწვევს. პირველი ტური გაიმართება 22 ივლისს, უკანასკნელი — 15 აგვისტოს. პირველი პრიზი 9.200 შვეიცარულ ფრანკს უდრის, მეორე — 6.900-ს, მესამე—5.520-ს.

მთავარ მსაჯად ფიდე-ს დაამტკიცა საერთაშორისო არბიტრი და საერთაშორისო ოსტატი გოლომბეკი (ინგლისი).

სპორტული მიმმხილველები დიდ ყურადღებას უთმობენ პეტროპოლისის ასპარეზობას. უმრავლესობა მთავარ ფავორიტად ასახელებს განთქმულ უნგრელ გროსმაისტერ პორტის, რომელიც ესოდენ ბრწყინვალე ფორმაში აღასოდეს ყოფილა. პორტისი უკვე ორჯერ (1965 და 1968 წლებში) მონაწილეობდა პრეტენდენტთა მატჩებში, მაგრამ წაგო ტალოსან და ლარსენთან. ბრაზილიის ასპარეზობისათვის პორტისი საგანგებოდ ემზადებოდა თავის მწვრთნელ საერთაშორისო ოსტატ ჩომთან ერთად. იგი წელს ძალიან ცოტას თამაშობდა. ჰორტი კი, პიროქენი, ტურნირიდან ტურნირზე მოგზაურობდა, თუმცა რაიმე დიდ წარმატებას ვერ მიაღწია.

მასპინძლები დიდ იმედს ამყარებენ 21 წლის მეკინგზე, რომელიც ყველაზე ახალგაზრდა გროსმაისტერია მსოფლიოში. ისევე, როგორც ზიდენტმა ბიერნო როლანმა, მათ გადა